საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 273

04 11 2013წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 28 ივნისის №206 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2013 წლის 16 ოქტომბრის №469096 წერილის გათვალისწინებითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 28 ივნისის №206 ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობდნენ ამ ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/სტანდარტებით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იმ საფეხურზე/საფეხურებზე, რომელიც/რომლებიც პროფესიული სტანდარტის/სტანდარტების შეცვლის შედეგად გაერთიანდა, უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ ამ ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/სტანდარტებით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების საწყის საფეხურზე/საფეხურებზე და იღიარონ ამ ბრძანების ამოქმედებამდე დაგროვებული კრედიტები კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

2. დაევალოს ცენტრის საქმისწაროებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

სალომე შელია